საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების
განყოფილება

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

/პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო და სასწავლო
დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის/

თბილისი 2010

025.3
ს 13

შემდგ.: ნ. ქავთარაძე
რედ.: გ. თაყნიაშვილი

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო და სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის/შემდგ.: ნ. ქავთარაძე; რედ.: გ. თაყნიაშვილი; საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2010. – გვ. 32 უფასო

წინამდებარე მასალაში მოკლედ და მარტივად არის ჩამოყალიბებული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის ძირითადი წესები. განხილულია ერთდონიანი და მრავალდონიანი, კრებსითი და ცალკეული ტომების, ოფიციალური გამოცემების, ელექტრონული რესურსებისა და დოკუმენტების შემადგენელი ნაწილების ანალიტიკური აღწერილობები. მოცემულია სხვადასხვა სახისა და ტიპის დოკუმენტის აღწერილობის ნიმუში (სულ 83) მოკლე განმარტებებით.

მასალა შედგენილია ამჟამად მოქმედი საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ორგანიზაციების მიერ მიღებული სტანდარტების შესაბამისად და განკუთვნილია საჯარო და სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის.

ISBN: 978-9941-0-2402-3

შესავალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2009 წელს გამოსცა სახელმძღვანელო მასალა უნივერსალური (სამეცნიერო) და რაიონების მთავარი ბიბლიოთეკებისათვის – „საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა“ (130 გვ.), რომელიც შედგენილია საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. მასში დაწვრილებით არის განხილული ყველა სახისა და ტიპის დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის წესები. აღნიშნული მეთოდურ-ინსტრუქციული წერილით, მცირე ტირაჟის გამო, უზრუნველყოფილი იქნა რაიონებში მოქმედი ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკები და უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები. აღნიშნული სახელმძღვანელო მასალის ტექსტი, ელექტრონული სახით, წარმოდგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000598/

ბიბლიოთეკების ფართო მოთხოვნამ განაპირობა წინამდებარე ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესების „შემოკლებული ვარიანტის“ შედგენა.

მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი მოიცავს თითქმის ყველა სახისა და ტიპის საბიბლიოთეკო დოკუმენტის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას (შესაბამისი ნიმუშებით). გათვალისწინებულია განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც ხშირად გვხვდება საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობების შედგენისას. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება: მრავალტომეული და სერიული გამოცემები, იზოგამოცემები, ნოტები, რუკები, ელექტრონული რესურსები; პარლამენტის დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებები და განკარგულებანი; დიალოგის, ინტერვიუს, სასამართლოს განჩინების, ტენდერისა და ნეკროლოგის ანალიტიკური აღწერილობები. აქ დასახელებული დოკუმენტების ერთი ნაწილის (ტენდერი, სასამართლოს განჩინებები და სხვ.) აღწერილობის წესები არ არის სტანდარტებში ჩამოყალიბებული; ნაშრომში წარმოდგენილია ასეთი მასალების აღწერილობის ნიმუშები.

ეს მასალა წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს საჯარო და სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის.

თავი 1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და ბიბ-ლიოგრაფიული აღწერილობა

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის ბიბლიოგრაფიული ინფორ-მაციის ელემენტი, რომელიც შეიცავს ცნობებს აღწერილობის ობიექ-ტის შესახებ, რაც მისი იდენტიფიკაციის, შემადგენლობისა და ში-ნაარსის გახსნის საშუალებას იძლევა.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შემადგენლობაში შედის ბიბ-ლიოგრაფიული აღწერილობა. იგი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიუ-ლი ჩანაწერის ძირითად ნაწილს და აუცილებლობის შემთხვევაში ივსება სათაურებით (საკლასიფიკაციო ინდექსებით და საგნობრივი რუბრიკებით), ანოტაციებით და სხვა დამატებითი ინფორმაციებით, რაც მასზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა დგება დოკუმენტის ტექსტის ენაზე. თუ დოკუმენტის ტექსტის ან საგამომცემლო ცნობების ენა შერეულია ან პარალელურია რამდენიმე ენაზე და მათ შორის ქართულად, აღწერილობაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენას. იმ შემთხვევაში, როდესაც საგამომცემლო ცნობები ყველა ენაზე არასრულია, შეირჩევა ენა, რომელზეც დოკუმენტში მეტი ცნობებია მოცემული.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტები იყოფა აუცი-ლებელ (მთავარ) და ფაკულტატურ ელემენტებად. აუცილებელი ელემენტები შეიცავენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ დოკუმენტის იდენტიფიკაციას. ფაკულტატური ელემენ-ტები შეიცავენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც იძლევიან დოკუმენტის შესახებ დამატებით ინფორმაციას (მისი შინაარსის, სამკითხველო დანიშნულების, ილუსტრაციებისა და სხვა თანმხლე-ბი მასალის შესახებ და ა. შ.).

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები განსხვავდება: აღწერილობის ობიექტით, ჩანაწერის სტრუქტურით, ელემენტების ნაკრების სისრუ-ლით, ხელმისაწვდომობის შერჩევის წერტილებით, ცვლილებათა არსებობით და ჩანაწერთა რაოდენობით.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის ობიექტს წარმოად-გენს ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელზე განთავსებული, ყველა სახის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

საბიბლიოთეკო დოკუმენტის (ნაწარმოების) ლოგიკური ატრი-ბუტებია მისი სათაური, ფორმა, შექმნის თარიღი, დანიშნულება. ნაწარმოების ფორმაში იგულისხმება ჟანრი, რომელსაც მიეკუთ-ვნება ნაწარმოები. მაგალითად, რომანი, პიესა, პოემა, ნარკვევი, სიმ-ფონია, სონატა, რუკა, ნახატი, ფოტოგრაფია და ა. შ.

გამოსახვის ფორმა გვიჩვენებს, თუ რომელ ინტელექტუალურ ან მხატვრულ ფორმაშია რეალიზებული ნაწარმოები – ტექსტური, ციფრული, სანოტო, ხმოვანი, გრაფიკული და ა. შ.

ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში მიეთითება, აგრეთვე თუ რომელ ფიზიკურ მატარებელზეა განთავსებული დოკუმენტი. ასეთებად მიიჩნევა ქაღალდის მატარებლები (ბეჭდური გამოცემები, ასლი, ხელნაწერი); მიკრომატარებლები (მიკროფილმები, მიკროფიშები); კინოფირზე მატარებლები; მაგნიტური მატარებლები (ფირები, კასეტები, დისკები, ვიდეოკასეტები, აუდიოკასეტები); ოპტიკური მატარებლები (კომპაქტ-დისკები, ვიდეოდისკები).

ფიზიკური საშუალება არის მასალის ტიპი,რომლისგანაც შეიქმნა დოკუმენტი. მაგ.: ქაღალდი, ხე, პლასტმასი, მეტალი, ზეთის საღებავები და სხვ.

1.1. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროები

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფერო არის აღწერილობის მსხვილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ერთ ან რამდენიმე ფუნქციონალურ და (ან) შინაარსობრივად ერთგვარ ელემენტებს. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტი არის აღწერილობის მინიმალური სტრუქტურული ერთეული: სიტყვა, სიტყვათშეერთება, აბრევიატურები, ციფრები, პირობითი აღნიშვნები ან მათი ერთობლიობა და სხვა ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცალკეულ ერთეულებს წარმოადგენენ.

საჯარო და სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის რეკომენდებული აღწერილობის სფეროები (ელემენტები):

აღწერილობის თავსათაური

1. <u>სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო</u> – შეიცავს ძირითად სათაურს, ასევე მასალის ზოგად აღნიშვნას, სხვა სათაურს (ალტერნატიული, პარალელური და სხვ.) და ცნობებს, რომლებიც ეხება სათაურს და ცნობებს დოკუმენტზე პასუხისმგებელ პირთა და ორგანიზაციათა შესახებ.

2. <u>გამოცემის სფერო</u> – მოიცავს ინფორმაციას მოცემული გამოცემის ცვლილებებისა და თავისებურებების შესახებ ამავე ნაწარმოების გამოცემასთან დაკავშირებით. გამოცემის შესახებ ცნობები შეიცავს სიტყვას „გამოცემა“, მის შემცვლელ სიტყვებს „ვერსია“, „ვარიანტი“, „გამოშვება“, „რედაქცია“ და ა. შ. ან სხვა ტერმინებს, რომლებიც მოცემულ გამოცემას წინა გამოცემისაგან განასხვავებენ.

3. <u>სპეციფიკურ ცნობათა სფერო</u> – გამოიყენება სპეციფიკურ მატარებელზე მოთავსებული განსაკუთრებული სახის ობიექტების აღწერილობისას. მას განეკუთვნება კარტოგრაფიული, სანოტო, სერიალური და სხვა გრძელდებადი, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტების ცალკეული სახეები, ელექტრონული რესურსები, მიკროფორმები.

4. <u>საგამომცემლო ცნობების სფერო</u> – მოიცავს ცნობებს აღწერილობის ობიექტის პუბლიკაციის ადგილისა და დროის, გავრცელებისა და დამზადების შესახებ.

5. <u>ფიზიკური დახასიათების სფერო</u> – მოიცავს ფიზიკური ფორმის აღნიშვნას, რა ფორმითაც წარმოდგენილია აღწერილობის ობიექტი, მოცულობას და აუცილებლობის შემთხვევაში დოკუმენტის ზომას, მის ილუსტრაციებსა და თანმხლებ მასალებს, რომლებიც აღწერილობის ობიექტის ნაწილს წარმოადგენს.

6. <u>სერიების სფერო</u> – მოიცავს ცნობებს მრავალნაწილიან დოკუმენტზე, რომლის ცალკეული გამოშვება წარმოადგენს აღწერილობის ობიექტს. სფერო მოიცავს სერიასთან დაკავშირებული სათაურის ელემენტებსა და ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, ან მისი ცალკეული ნაკვეთის, ნაწილის სტანდარტულ ნომერს, რომლითაც ობიექტი მოცემულ სფეროში აღინიშნება.

7. <u>შენიშვნების სფერო</u> – მოიცავს დამატებით ინფორმაციას აღწერილობის ობიექტის შესახებ, რომელიც არ იყო მოყვანილი აღწერილობის სხვა ელემენტებში. სფეროში მოყვანილი ცნობები, რომლებიც ზუსტდება ინფორმაციის ნებისმიერ წყაროდან, ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

8. <u>დოკუმენტის სტანდარტული ნომრისა (ან მისი ალტერნატივების) და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო</u> – აქ აღინიშნება აღწერილობის ობიექტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი: წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) ან სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN) ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ნომერი, რომელიც მინიჭებული აქვს აღწერილობის ობიექტს.

<u>აღწერილობის თავსათაური</u> არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც დოკუმენტის კატალოგრაფიული აღწერილობის შემთხვევაში ძირითად აღწერილობაში საკატალოგო ბარათის პირველ ჰორიზონტალურ ხაზზე იწერება. დამატებით ბარათზე თავსათაური იწერება პირველ ჰორიზონტალურ ხაზზე მეორე მარჯვენა ვერტიკალური ხაზიდან.

1.2. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში გამოყენებული პირობითი პუნქტუაცია ასრულებს ორ ფუნქციას – ჩვეულებრივი, გრამატიკუ-

ლი პუნქტუაციისა და პირობითი პუნქტუაციის, რომელთაც გააჩნიათ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების ამოცნობის დანიშნულება. პირობითი პუნქტუაცია წინ უძღვის სფეროებსა და ელემენტებსა, ან ასრულებს მათ.

აღწერილობის თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წამძღვარებული აქვს ნიშანი – წერტილი და დეფისი (. –), რომელიც იწერება სფეროს პირველი ელემენტის წინ. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ბოლოში იწერება წერტილი. აღწერილობაში იცავენ იმ ენის ორთოგრაფიულ ნორმებს, რომელზეც დგება აღწერილობა.

ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში სფეროები და ელემენტები იწერება დადგენილი თანმიმდევრობით და წინ უძღვის შემდეგი პირობითი პუნქტუაცია:

. –	წერტილი და დეფისი
.	წერტილი
,	მძიმე
:	ორწერტილი
;	წერტილ-მძიმე
/	დახრილი ხაზი
//	ორი დახრილი ხაზი
( )	მრგვალი ფრჩხილები
[ ]	კვადრატული ფრჩხილები
+	მიმატების ნიშანი (პლუსი)
=	ტოლობის ნიშანი

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში კვადრატულ ფრჩხილებში [ ] თავსდება ინფორმაცია, რომელიც არ არსებობს ინფორმაციის ძირითად წყაროში, ანუ როდესაც ცნობები არ არის სატიტულო ფურცელზე და იგი სხვა, დამატებითი წყაროებითა და კატალოგიზატორის მიერ კონკრეტულად ფორმულირებული სათაურით იცვლება. კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის აგრეთვე ნაწარმოების ჟანრი და მასალის ზოგადი აღნიშვნა, თუ დოკუმენტის თავფურცელზე არ არის მითითებული.

მაგ.: სხვისი შვილები [კინომოთხრობა]//ცისკარი. – 1957.
პაპიროსის ცეცხლი. შემოდგომის დღე [ლექსები] ...

1.3. ობიექტის სახის მიხედვით განასხვავებენ ძირითადი აღწერილობის სამ სახეს:

1. მონოგრაფიული (ერთტომიანი) გამოცემების აღწერილობა;
2. კრებსითი (ერთიანი, გაერთიანებული);
3. ანალიტიკური (დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის) აღწერილობა.

მონოგრაფიული აღწერილობა შეიძლება შედგეს მრავალტომეული და სერიული გამოცემების ცალკეულ ტომებზე. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ ერთდონიან და მრავალდონიან ჩანაწერს. ერთდონიანი ჩანაწერი მოიცავს ერთ დონეს. იგი შედგება ერთნაწილიან დოკუმენტზე, მრავალნაწილიან დასრულებულ დოკუმენტზე მთლიანად, ცალკეულ ფიზიკურ ერთეულსა და მრავალნაწილიანი დოკუმენტის ფიზიკურ ერთეულთა ჯგუფზე.

მრავალდონიანი ჩანაწერი მოიცავს ორ ან მეტ დაკავშირებულ დონეებს და შედგება მრავალნაწილიან დოკუმენტზე (მრავალტომეული და კომპლექტური დოკუმენტი მთლიანად, სერიული ან სხვა გრძელდებადი რესურსი) ან ცალკეულ ფიზიკურ ერთეულზე, ასევე მრავალნაწილიანი დოკუმენტის ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა ჯგუფზე – მრავალტომეულის, კომპლექტური დოკუმენტის, სერიალური ან სხვა გრძელდებადი რესურსის ერთ ან რამდენიმე ტომზე (გამოშვებაზე, ნომერზე).

ელემენტთა ნაკრების სისრულის მიხედვით განასხვავებენ: <u>მოკლე, გაფართოებულ</u> და <u>სრულ ჩანაწერს</u>. მოკლე ჩანაწერი შედგება მხოლოდ აუცილებელი ელემენტებისგან, გაფართოებული ჩანაწერი შეიცავს აუცილებელ და ზოგიერთ ფაკულტატურ ელემენტს, ხოლო სრული ჩანაწერი შედგება აუცილებელი და ყველა ფაკულტატური ელემენტისგან. საბიბლიოთეკო დოკუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე მცირე და საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკები მიმართავენ გამოცემების მარტივ აღწერილობას აუცილებელი ელემენტების გათვალისწინებით. აქ მხედველობაში მიიღება არა მარტო დოკუმენტის ნიშანდობლივი მხარე, არამედ მისი სამკითხველო დანიშნულებაც.

1.4. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას დასაშვებია სიტყვათა და სიტყვათშეერთებათა შემოკლება მიღებული ნორმების შესაბამისად. შემოკლებები გამოიყენება აღწერილობის ყველა სფეროში, სათაურშიც კი, მაგრამ შემოკლებათა მოცულობა უნდა იყოს მინიმალური, განსაკუთრებით სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში. არ შეიძლება შემოკლდეს ნებისმიერი სათაური ნებისმიერ სფეროსა და მასალის ზოგადად აღნიშვნაში (იხ. სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი. – თბ., 2007. – 20 გვ.).

თავი 2. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობისთვის დადგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროები, რომლებიც მოიცავენ აუცილებელ და ფაკულტატურ ელემენტებს პირობითი პუნქტუაციით.

<u>სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო</u>

ძირითადი სათაური
[ ] მასალის ზოგადი აღნიშვნა
= პარალელური სათაური
: ცნობები, რომლებიც სათაურს ეხება
პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები
/ პირველი ცნობები
; შემდეგი ცნობები

<u>გამოცემის სფერო</u>

ცნობები გამოცემის შესახებ
= პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ
პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც ეხება დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ
/ პირველი ცნობები
; სხვა ცნობები

<u>სპეციფიკურ ცნობათა სფერო</u>

საგამომცემლო ცნობათა სფერო
გამოცემის, გავრცელების ადგილი
გამოცემის პირველი ადგილი
; გამოცემის შემდეგი ადგილი
გამომცემლის, გამავრცელებლის სახელი და ა.შ.
[ ] ცნობები გამომცემლის, გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ და ა.შ.
, გამოცემის, გავრცელების თარიღი

<u>ფიზიკური დახასიათების სფერო</u>

მასალის მოცულობის სპეციფიკური აღნიშვნა
: სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ
; ზომები
+ ცნობები თანმხლები მასალების შესახებ

<u>სერიის სფერო</u>

(სერიის ძირითადი სათაური

= სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური

: ცნობები, რომლებიც ეხება სერიას ან ქვესერიას

ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ეხება სერიას ან ქვესერიას

/ პირველი ცნობები

; შემდეგი ცნობები, სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი(ISSN), რომელიც მინიჭებული აქვს მოცემულ სერიას ან ქვესერიას

<u>შენიშვნების სფერო</u>

. – წინ უძღვის თითოეულ შენიშვნას

: გამოიყოფა შესავალი სიტყვა შენიშვნების ძირითადი შინაარსისგან

[ ] ინფორმაციის ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული და-მატებითი ცნობები

<u>სტანდარტული ნომრისა (ან მისი ალტერნატივების) და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო</u>

. – საერთაშორისო სტანდარტული ნომერი

: ხელმისაწვდომობის პირობები და ფასი

( ) დამატებითი ცნობები სფეროების ელემენტების შესახებ

ერთდონიანი აღწერილობა დგება მონოგრაფიული (ერთტომიანი) და მრავალნაწილიანი, სერიული გამოცემების ცალკეულ ტომებზე (ნაწილებზე). ბიბლიოთეკის კატალოგში თითოეული გამოცემა შეიძლება ასახული იყოს ორი ან მეტი ჩანაწერის საშუალებით, რომელთაგან ერთი ძირითადი აღწერილობაა, დანარჩენი – დამატებითი. დამატებითი აღწერილობა საშუალებას იძლევა მოიძებნოს დოკუმენტები ძირითადი აღწერილობისგან განსხვავებული ნიშნებით: მეორე და მესამე ავტორი, რედაქტორი, კოლექტიური ავტორი და ა. შ.

დამატებითი აღწერილობა ორი სახისაა: დამატებითი აღწერილობა პირზე (თანაავტორი, რედაქტორი, შემდგენელი, მთარგმნელი, „მასზე“ და სხვ.) ან კოლექტიურ ავტორსა და სათაურზე. დამატებითი აღწერილობის შედგენის აუცილებლობის საკითხს წყვეტს ბიბლიოთეკარი.

ერთავტორიანი დოკუმენტის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში ავტორის გვარი დახრილი ხაზის შემდეგ არ მეორდება.

გელაძე, გიორგი.
ირანის უკანასკნელი შაჰი: [მუჰამედ რეზა ფაჰლავი]. – თბ., 2009. – 116 გვ.: ფოტ. – ISBN: 978-9941-0-1112-2: 1 ლ. 20 თ.

გოგებაშვილი, იაკობ.
ციხე-დარბაზი: [ზღაპარი]/[რედ.: იზა ხულელიძე, ნუნუ მერებაშვილი; მხატვ. ნინო ფცქიალაძე]. – [თბ.: გლობალ – პრინტი+, 2009]. – 8 გვ.: ილ. – ISBN: 978-9941-0-0926-6: 1 ლ. 50 თ.

ორავტორიანი და სამავტორიანი დოკუმენტების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში თავსათაურში მიეთითება მხოლოდ ერთი პირველი ავტორი, დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითება ყველა ავტორი.

ორავტორიანი დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ქრისტესაშვილი, ლ.
ფარმაცევტული პრეპარატების სტანდარტიზაცია/ლ. ქრისტესაშვილი, მ. ბექაური; სტუ. – თბ.: [ტექნ. უნ-ტი], 2008. – 38 გვ.: ნახ. – ISBN: 978- 9941-14-184-3: 2 ლ.

მიმინოშვილი, ა.
ამოცანათა კრებული სამედიცინო ფიზიკაში: (ამოცანების ამოხსნის მაგალითები)/ალექსანდრე მიმინოშვილი, ედუარდ ჩიკვაიძე; [რედ. თეიმურაზ გოგოლაძე]; სსიპ სოხუმის სახ. უნ-ტი. – თბ.: უნივერსალი, 2009. – 136 გვ. – ISBN: 978-9941-12-439-6: 3 ლ. 50 თ.

სამავტორიანი დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ხურცილავა, მ.
მაკროეკონომიკა: სახელმძღვანელო [სას.-სამ. უნ-ტის ეკონ. ფაკ. სტუდ.]/მერაბ ხურცილავა, ლია პიტიურიშვილი, ნინო თევდორაშვილი; [რედ. ელგუჯა მექვაბიშვილი]. – თბ.: [ცოდნა], 2009. – 226 გვ. – ISBN: 978- 9941-0-1147-4: 5ლ. 20 თ.

შავგულიძე, ა.
ზოგიერთი გეომეტრიული გარდაქმნის გამოყენება პლანიმეტრიის ამოცანებში/ა. შავგულიძე, ზ. კვინიკაძე, ი. ბაციკაძე; სტუ. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 2008. – 62 გვ. – ISBN: 978-9941-14-55-6: 2 ლ.

მეორე და მესამე ავტორებზე დამატებითი აღწერილობის შედგენისას პირველ ხაზზე, თავსათაურში, მიეთითება მეორე ან მესამე ავტორის გვარი, მეორე ხაზზე იწერება პირველი ავტორის გვარი, ხოლო დახრილი ხაზის შემდეგ იწერება ყველა ავტორის გვარი. დამატებითი აღწერილობის შედგენისას არ იწერება გამომცემლობა, წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი და ფასი.

<u>დამატებითი აღწერილობა მეორე და მესამე ავტორებზე</u>

ჩიკვაიძე, ე.
მიმინოშვილი, ა.
ამოცანათა კრებული სამედიცინო ფიზიკაში: (ამოცანების ამოხსნის მაგალითები)/ა. მიმინოშვილი, ე. ჩიკვაიძე. – თბ., 2009. – 136 გვ.

ბაციკაძე, ი.
შავგულიძე, ა.
ზოგიერთი გეომეტრიული გარდაქმნის გამოყენება პლანიმეტრიის ამოცანებში/ა. შავგულიძე, ზ. კვინიკაძე, ი. ბაციკაძე. – სტუ. – თბ., 2008. – 62 გვ.

ოთხი და მეტავტორიანი დოკუმენტების აღწერილობა შედგება სათაურზე. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროში იწერება პირველი ავტორის გვარი და შემდეგ სიტყვა [და სხვ.] (იხ. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა – სახელმძღვანელო მასალა, 2009. – გვ. 30).

<u>ოთხი და მეტავტორიანი</u> დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა:

საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია: სახელმძღ. უმაღლ. სასწ. სტუდენტებისათვის/მელორ ალფენიძე [და სხვ.]; *[რედ.: ზურაბ ტატაშიძე]; თსუ. – თბ., 2009. – 234 გვ.*

თანამედროვე ქართული ენა: სახელმძღვანელო უნ-ტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის/მ. კუხალაშვილი [და სხვ.]; *მ. მიქაძის საერთო რედ.; აკ. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტი. – [ქუთაისი, 2008].*

კონკურენტუნარიანობა. ხარისხისა და პროექტის მენეჯმენტი/ გ. ამყოლაძე [და სხვ.]. – თბ., 2009. – 191 გვ.

<u>დამატებითი აღწერილობა პირზე (პერსონალია) – „მასზე“</u>

ცალკეული პირისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები (პერსონალიები) აღიწერება დადგენილი წესებით. დამატებითი ბარათის თავსათაურში მიეთითება იმ პირის გვარი და სახელი, ვისაც ეძღვნება ნაშრომი. იმავე სტრიქონზე იწერება სიტყვა – „მასზე“.

ცინცაძე, კალისტრატე, მასზე.
ვარდოსანიძე, ს.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932–1952 წწ.). – [რედ. მიხეილ ქავთარია]. – თბ., 2009. – 208 გვ.

გამსახურდია, ზვიადი, მასზე.
ზვიადიანი: წიგნი-ქრესტომათია [ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე]/შემდგ. და გამომც. ვ. ჟღენტი. – თბ., XXI, 2009. – 188 გვ. – (სერია „ჩემი ერის საკითხავი წიგნი“; წ. 2).

თავი 3. მრავალტომეული და სერიული გამოცემების კრებსითი და ცალკეული ტომის, ნაწილის დამოუკიდებელი აღწერილობა

მრავალტომეული გამოცემა ეწოდება ერთიან მთლიან გამოცემას, რომელიც ორი ან მეტი დანომრილი ტომისგან შედგება. მრავალტომეულ გამოცემაზე დგება ერთიანი, კრებსითი აღწერილობა, ხოლო მის ცალკეულ ტომებზე შეიძლება შედგეს მონოგრაფიული აღწერილობა.

კრებსითი აღწერილობა შედგება ორი ნაწილისგან: საერთო ნაწილი და სპეციფიკაცია. საერთო ნაწილი შეიცავს ცნობებს, რომლებიც მრავალტომეული გამოცემის ყველა ტომს ეხება, ხოლო სპეციფიკაციაში მოყვანილი ცნობები მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტომს ახასიათებს.

დოკუმენტი, რომელიც ორი და მეტი ცალკეული ფიზიკური ერთეულისგან შედგება (მრავალტომეული და სერიული გამოცემების), საცნობარო აპარატში წარმოდგენილია მრავალდონიანი აღწერილობის ფორმით. პირველ დონეზე (ზოგადი ნაწილი) აღინიშნება მთლიანად დოკუმენტისთვის საერთო ცნობები, მეორე და მომდევნო დონეებზე – ცნობები, რომლებიც ეხება თითოეულ

ცალკეულ ფიზიკურ ერთეულს – დოკუმენტის ტომს (გამოშვებას, ნომერს), დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს ან დოკუმენტების ჯგუფს.

<u>მრავალდონიანი აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების სქემა:</u>

<u>პირველი დონე (ზოგადი ნაწილი)</u>

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური: სათაურთან დაკავშირებული ცნობები/პასუხისმგებლობის შესახებ პირველი ცნობები.– ცნობები გამოცემის შესახებ.– სპეციფიკური ცნობები. – გამოცემის ადგილი: გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. სახელი. [გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ფუნქციის შესახებ ცნობები], გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი. (დამზადების ადგილი: დამამზადებლის სახელი, დამზადების თარიღი). – მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და მოცულობა: სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ; ზომები + ცნობები თანმხლები მასალების შესახებ. – (სერიის და ქვესერიის ძირითადი სათაური = სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური: ცნობები დაკავშირებული სერიის ან ქვესერიის სათაურთან, დოკუმენტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN); სერიის ან ქვესერიის გამოშვების ნომერი). – შენიშვნა. – სტანდარტული ნომერი (ან მისი ალტერნატივა) = საკვანძო სათაური: მისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი (დამატებითი ცნობები სფეროს ელემენტებზე).

<u>მეორე დონე (სპეციფიკაცია)</u>

ტომის (გამოშვების, ნომრის) რიგითი ნომერი: ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური: სათაურთან დაკავშირებული ცნობები/ცნობები გამოცემის შესახებ/სპეციფიკური ცნობები. – გამოცემის პირველი ადგილი; გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. სახელი, გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი. – მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და მოცულობა: სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ; ზომები + ცნობები თანმხლები მასალების შესახებ. – (სერიის და ქვესერიის ძირითადი სათაური: ცნობები დაკავშირებული სერიის ან ქვესერიის სათაურთან, დოკუმენტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN): მისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი (დამატებითი ცნობები სფეროს ელემენტებზე). – მაჩვენებლები. შინაარსი.

<u>დამთავრებული მრავალტომეული გამოცემის სრული (კრებსითი) აღწერილობა</u>

ჭავჭავაძე, ილია.

თხზულებათა სრული კრებული: 10 ტომად/პ. ინგოროყვას რედ. [დაშესავალი წერილით]; საქ. სსრ მეცნ. აკად., რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-ის ისტორიის ინ-ტი. – თბ., სახელგამი. – 1951–1961.

ტ.1: ლექსები, პოემები. – 1951. – 500 გვ.: ფაქს; 15 პორტ. და ილ.

ტ.2: 1957. – 308 გვ.

ტ.3: წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე; ფელეტონები. – 1953. – 512 გვ.

ტ.4: ერი და ისტორია; წერილები სახალხო განათლების საკითხებზე. – 1955. – 405 გვ. – ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

ტ.5: საქართველოს მატიანე. – 1955. – 409 გვ.

ტ.6: ცხოვრება და კანონი. – 1956. – 306 გვ.

ტ.7: წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. – 1956. – 516 გვ.

ტ.8: საზოგადოებრივი ცხოვრების დღიური. – 1957. – 362 გვ.

ტ.9: წერილები უცხოეთზე; სიტყვები; ნუთუ? პასუხი კორესპონდენციაზე „მოგზაური"; ავტობიოგრაფია. – 1957. – 325 გვ.

ტ.10: მიმოწერა. – 1961. – 635 გვ.

<u>მრავალტომეული გამოცემის ერთი ცალკე ტომის აღწერილობა</u>

ჯავახიშვილი, მიხეილი.

თხზულებანი: 7 ტომად/[რედ.: ნანა სუხიტაშვილი, ნათელა ჭყოიძე]. – თბ., საქართველოს მაცნე.

ტ.7: წერილები/[რედ.: ნ. ჭყოიძე]. – 2008. – 580 გვ. – ISBN: 978-99940-66-79-7: 15 ლ.

<u>დაუმთავრებელი მრავალტომეული გამოცემის აღწერილობა</u>

თბილისის ისტორია: 3 ტომად/საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი; [სარედ. კოლ.: მ. დუმბაძე (მთ. რედ.) და სხვ.]. – თბ.: მეცნიერება, 1990 – ;

ტ.1: თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე/[შემდგ.: გ. აფრასიძე, მ. ბადრიძე, ელ. ქაჯაია]. – 1990. – 558 გვ.: 38 ფ. ილ. – საძიებლები: გვ. 466–487. – 10 ლ.

<u>სერიული გამოცემის კრებსითი აღწერილობა</u>

საყმაწვილო ენციკლოპედია/[მთ. რედ.: დ. წივწივაძე: წიგნზე მუშაობდნენ: ლ. ბაბუხადია, ნ. კაკაჩია, ნ. კვარაცხელია და სხვ.]. – თბ.: დილა, 2003 – ;

წ.1: სამყარო/[ილ.: მ. კუხალაშვილი და სხვ.]. – 2003. – 128 გვ: ილ. – ბიბლიოგრ.: გვ. 128 .

წ.2: ცივილიზაცია, ნაწ. 1/[ილ.: თ. მიქაია, ნ. სანაია]. – 2002. – 132 გვ.: ილ. – ბიბლიოგრ.: გვ. 132 .

წ.3: ცივილიზაცია, ნაწ. 2/[ილ.: თ. მიქაძე, გ. ჩაჩანიძე]. – 2003. – 140 გვ.: ილ. – ბიბლიოგრ.: გვ. 140.

წ.4: ცივილიზაცია, ნაწ. 3/[იდეისა და პროექტის ავტ. დ. წივწივაძე; შემდგ.: ა. გაბელაია, ნ. კენჭოშვილი, თ. რურუა: რედ.: თ. ნინიკაშვილი (პმგ რედ.), ლ. ბაბუხადია]. – 2005. – 144 გვ.: ილ.

წ.5: საქართველოს ბიოგრაფია, ნაწ. 1... და ა. შ. ბოლო ტომამდე

<u>სერიული გამოცემის ტომის, ნაწილის დამოუკიდებელი აღწერილობა</u>

ბრონტე, შარლოტა.

ჯეინ ეარი: [რომანი/ინგლ. თარგმნეს თამარ მაღრაძემ და ზეინაბ ხახანაშვილმა; სარედ. კოლ.: ანზორ აბულაშვილი და სხვ.; მხატვ. გიორგი წერეთელი]. – თბ.: ნაკადული, 2004: სტ. შპს გაზ. „საქართველოს მაცნე“ – 624 გვ.; 20 სმ. – (სერია: მსოფლიო ლიტ. ბიბ-კა ბავშვებისათვის). – ISBN: 99928-47-16-6: 8 ლ.

ყაზბეგი, ალ.

ხევისბერი გოჩა: რჩეული/[სარედ. კოლ.: ზ. აბზიანიძე და სხვ.]. – [თბ.]: ბაკმი, 2008. – 504 გვ.; 21 სმ. – (სერია: სასკოლო ბიბ-კა; 13). – ISBN: 978-99940-27-31-6 (სერიის ყველა წიგნი); ISBN: 978-99940-27-53-8: 9 ლ.

შინაარსი: ხევისბერი გოჩა; ელისო; ციცკა; ნამწყემსარის მოგონებანი; განკიცხულნი; მოძღვარი; ციკო; ნინო; მტრედი.

<u>სერიული გამოცემის ტომის, ნაწილის აღწერილობა სათაურზე</u>

ღვთივკურთხეული ქორწინება და ღვთისსათნო ოჯახი/[შეკრიბა და თარგმნა ვლ. ჩხიკვაძემ; რედ. მ. კერესელიძე]. – თბ.: ანთიმ ივერიელი, 2008. – 168 გვ. – (სერია: ქრისტიანული აზროვნებისათვის). – 2 ლ.

<u>საერთო სათაურების მქონე კრებულების აღწერილობა</u>

ებრაული ანთოლოგია/პროექტის ავტ. სოსო ჯინჯიხაშვილი; [შემდგ. ირმა აბაშიძე; რედ. მამუკა ბუცხრიკიძე]. – თბ., 2008: შპს ჟურნ. „თბილისელები“. – 248 გვ.: ფოტ. – ISBN: 978-9941-0-0365-3: 12 ლ.

ყველა დროის 20 საუკეთესო მოთხრობა: [ანთოლოგია/შემდგ. ბაკურ სულაკაური, თეა ქიტოშვილი, მალხაზ ხარბედია]. – [თბ.]: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, [2008]. – 503 გვ.: ფოტ. – ISBN: 978-9941-4043-81-1: 10 ლ.

შინაარსი: სარჩობელაზე/ილია ჭავჭავაძე; ელისო/ალექსანდრე ყაზბეგი; შვლის ნუკრის ნაამბობი/ვაჟა-ფშაველა; სოლომონ მორბელაძე/დავით კლდიაშვილი; რაინდები/ნიკო ლორთქიფანიძე; ჩანჩურა/მიხეილ ჯავახიშვილი; ...

(და ა. შ. მიეთითება ყველა ნაწარმოები)

<u>საერთო სათაურების გარეშე გამოცემული კრებულების აღწერილობა</u>

კვანჭილაშვილი, ტარიელი.

რად გვინდა ტაში: [წერილების კრებული]. – თბ.: მერანი, 1991. – 131 გვ. – 1 ლ. 40 თ.

შინაარსი: მოჩვენებითი და ნამდვილი; ნიჭსა გზა ფართო; რად გვინდა ტაში; კილო ბალი თუმანი! მდიდარი ადამიანი ჩემი მტერია; ... და ა. შ.

მკვლელობა მორგის ქუჩაზე: [კრებული/რედ.: ტაგუ მებურიშვილი]. – თბ.: მერანი, 1991. – 512 გვ. – (საზღვარგარეთის დეტექტივი: 10 წიგნად, წ. 1). – 5 ლ. შინაარსი: მკვლელობა მორგის ქუჩაზე; ნაპარავი წერილი; მარი როჟეს საიდუმლო/ედგარ ალან პო; ეშმაკის ფეხი; ლომის ფაფარი/არტურ კონან დოილი; ყვითელი ძაღლი; თავის საფასური/ჟორჟ სიმენონი; კრეტის ხარი; წითელი შუქნიშანი/აგატა კრისტი.

თავი 4. ოფიციალური გამოცემების ბიბ-ლიოგრაფიული აღწერილობა

ოფიციალურ გამოცემებს განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუ-ფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების, საკანონმდებ-ლო და აღმასრულებელი ორგანოების სახელითა და პასუხისმგებ-ლობით გამოცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტები.

ოფიციალური გამოცემები ქვეყნდება პერიოდულ და გრძელდე-ბად გამოცემებში: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, „პარლა-მენტის უწყებანი“, „საქართველოს პარლამენტი“, „საქართველოს მაცნე“, „სასამართლოს სიახლენი“, „კანონი და სამართალი“, გაზე-თი „საქართველოს რესპუბლიკა“ და ა. შ.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საკანონმდებლო, აღ-მასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების დასა-ხელებათა მომცველი თავსათაური სტრუქტურით არის რთული და შეიძლება ორი და მეტი რგოლისგან შედგებოდეს. პირველ რგო-ლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, რომელზეც ვრცელდე-ბა ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება. იურისდიქციის დასახელება შეიძლება მოიცავდეს ქვეყნის, ქალაქის ან სხვა ადმინ-ისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის დასახელებას. იგი აღინ-იშნება ოფიციალურ ფორმაში, სიტყვათა შემოკლების გარეშე.

საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორ-განოს დასახელება (სამინისტროების, პარლამენტის, მთავრობის) თავსათაურში მიეთითება მეორე და მომდევნო რგოლად, იურის-დიქციის დასახელების შემდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში მი-ეთითება წელი (წლები) და მოწვევის თვე. საკანონმდებლო და ზოგიერთი სხვა ოფიციალური დოკუმენტის (კონსტიტუციები, კანო-ნები, ხელშეკრულებები, სამხედრო წესდებები) დასახელებებს ასევე თავსათაურში მიუთითებენ უნიფიცირებული ფორმით, იურისდიქციის დასახელების შემდეგ. „კონსტიტუციის“ აღწერისას მას აუცი-ლებლად მიეწერება ფრჩხილებში მიღების წელი. მაგ.: (1995).

დოკუმენტთა აღწერილობებში, რომლებიც გამოქვეყნებულია სახელმწიფოს, მთავრობის მეთაურთა თანამდებობის პირთა სა-ხელით, პირველ რგოლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, მეორედ – ტიტულის ან თანამდებობის დასახელება. მაიდენტი-ფირებელი ნიშნები შეიძლება მოიცავდეს მეფობის ან პოსტზე დანიშვნის წელს (წლებს) და მის საკუთარ სახელს (მაგ. სასული-ერო პირების, კათოლიკოს-პატრიარქის და სხვ.). (იხ. საბიბლიოთე-კო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: სახელმძღვ-ანელო მასალა. – თბ., 2009.)

კონსტიტუცია

საქართველო. კონსტიტუცია. (1995).

საქართველოს კონსტიტუცია: ცვლილებებითა და დამატებებით 2008 წლის 20 ნოემბრამდე. – თბ.: [ბონა კაუზა], 2008. – 158 გვ. – (იურისტის ბიბლიოთეკა). – 2 ლ.

კანონები

საქართველო. კანონები.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ: 2008 წლის 14 მარტს შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით: 2008 წლის 1 მაისის მდგომარეობით. – თბ.: [ბონა კაუზა], 2008. – 90 გვ. – (იურისტის ბიბ-კა). – 70 თ.

პარლამენტის დადგენილება

საქართველო. პარლამენტი.

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნების თაობაზე: საქართველოს პარლამენტის დადგენილება//საქართველოს რესპუბლიკა. – 2003. – 13 მარტი (№66). – გვ. 2.

პრეზიდენტის განკარგულება

საქართველო. პრეზიდენტი (2004 – ; მ. სააკაშვილი)

2005 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ: განკარგულება №97, 2006 წ. 24 თებ//საქართველოს რესპუბლიკა. – 2006. – 3 მარტი. – გვ. 2.

პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველო. პრეზიდენტი (2004 – ; მ. სააკაშვილი)

საქართველოს მთავრობის შემადგენლობის უფლებამოსილებათა შესახებ: ბრძანებულება №32: 27 იანვ. 2004//საქართველოს რესპუბლიკა. – 2004. – 28 იანვ. (№2). – გვ. 1.

სასულიერო პირების ავტორობით გამოცემული ნაწარმოებები

ილია II (შიოლაშვილი ი. ; კათოლიკოს-პატრიარქი; 1977 –)

საშობაო ეპისტოლე. – [თბ.: საქართველოს საპატრიარქო], 2008. – 16 გვ. – 1 ლ.

ცინცაძე კალისტრატე (კათოლიკოს-პატრიარქი; 1932–1952)

ჩემი მოგონებებიდან/[მთარგმნ.: რ. კორძაია, ნ. ჯოლოხავა, ა. ბრეგაძე; რედ.: ა. ჯაფარიძე]. – თბ.: ციცინათელა, 2001. – 240 გვ. – 3 ლ.

<u>*სამინისტროს ან ორგანიზაციის პასუხისმგებლობით გამოცემული მასალები*</u>

საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებების დამტკიცების შესახებ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებულება: №127, 2005 წ. 28 მარტი. – თბ.; 2005. – 23 გვ.

ქ. თბილისი. საკრებულო.

2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ: დადგენილება №6, 27 მარტი, 2009 წ.//საქართველოს რესპუბლიკა. – 2009. – 11 აპრილი (6872). – გვ. 5–8.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი.

ჟიზელი: ბალეტი 2 მოქმედებად: [ისტორია, ლიბრეტო,საბალეტო დასი]/კომპოზიტორი ადოლფ ადანი; ლიბრეტო თ. გოტიესა და ა. სენ-ჟორჟის; დადგმა და რედ. ა. ფადეეჩევი; მხატვ. ვ. ოკუნევი; ფოტო ლ. ვაჩნაძე; დირიჟორი ზ. კალმახელიძე; საბალეტო დასის ხელმძღვ. ნინო ანანიაშვილი. – [თბ., 2008]. – 25 გვ.: ფოტ.; პრემიერა შედგა 2006 წ. 17 მარტს. – ტექსტი ქართ. და ინგლ. ენ. – 7 ლ.

<u>*სპეციფიკური ხასიათის დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა*</u>

<u>*იზოგამოცემა*</u>

ახვლედიანი, ე.

თბილისი: [ალბომი]/რედ.: ლ. ლომთათიძე; შემდგ.: ლ. ყურულაშვილი. – თბ.: ლიტ. და ხელოვნება, 1965 . – 56 გვ.: ილ. – ყდა და ტექსტი ქართ. და რუს. ენ. – 25 ლ.

იაკობ ნიკოლაძე: [რეპროდუქციები]: [ალბომი]. – [თბ.]: ხელოვნება, 1976. – 25 გვ.: 12 რეპროდუქცია. – 20 ლ.

ჯაფარიძე, გ.
ფიროსმანის პორტრეტი. ფიროსმანის სიკვდილი/[მხატვ. ლადო გუდიაშვილი]; საქ. სსრ ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი. – თბ. საბჭ. საქართველო, 1960: მე-2 სტ. – 8 გვ. – 12 ლ.

<u>დამატებითი აღწერილობა მხატვარზე და მთარგმნელზე</u>

გუდიაშვილი, ლადო, მხატვ.
ჯაფარიძე, გ.
ფიროსმანის პორტრეტი. ფიროსმანის სიკვდილი. – თბ., 1960.

ზიჩი, მიხაილ, ილუსტრ.
რუსთაველი, შოთა.
ვეფხისტყაოსანი: პოემა. – თბ., 1975. – 307 გვ.

მაღრაძე, ელგუჯა, მთარგმ.
დოილი, არტურ კონან.
შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი/ინგლ. თარგმ. და წინასიტყვაობა დაურთო ე. მაღრაძემ. – თბ., 1966. – 687 გვ.

<u>სანოტო გამოცემები</u>

ჯანჯღავა, ნ.
დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ [ნოტი]: [სოლისტები-სოპრანო, ალტი, ტენორი, ბარიტონი, ბანი, შერეული გუნდი და არფა]. – [თბ.], 2008. – 47 გვ. – 3 ლ.
შინაარსი: 1. უგალობდითსა; 2. განძლიერდითსა; 3. მესმაასა; და სხვ.

ჩხეიძე, მ.
რია რია [ნოტი] = Children's Songs : საბავშვო სიმღერები: [ხმისათვის ციფრული აკომპ-ით]/რედ. ე. ჭავჭანიძე; მხატვ. თ. გაბისონია; მუს. მასალის კომპიუტ. უზრუნველყოფა თ. გაბისონია; ფოტო გ. მესხი. – თბ., 2008. – 30 გვ.: ილ. + 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM). – პარალ. ქართ., ინგლ. ენ. – ტექსტი ქართ. ენ. ტრანსლიტერაცია ლათინური შრიფტით. – 8 ლ. 40 თ.
შინაარსი: 1. გაზაფხული; 2. წიგნი; 3. თოვს; 4. დამალობანა; 5. ნანინა; 6. რია-რია; 7. დედა; 8. ნაძვის ხე; 9. მძინარე მზეთუნახავი; 10. ვარსკვლავები; 11. თოვლის ბაბუა; 12. ნატვრა.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი [ნოტი]: თავისუფლება: ხმისათვის ფორტეპიანოს თანხლებით/მუსიკა ზ. ფალიაშვილისა; ჰიმნად დაამუშავა ი. კეჭაყმაძემ; ლექსი დ. მაღრაძის; [საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო]. – თბ., 2004. – 3 გვ.; 21 სმ. + 1 კომპ. დისკი (CD-ROM). – 8 ლ.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ნოტებზე შეიძლება შედგეს დამატებითი აღწერილობები მუსიკის ავტორზე – ზაქარია ფალიაშვილსა და ტექსტის ავტორზე – დავით მაღრაძეზე.

მაღრაძე, დავით

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი [ნოტი]: თავისუფლება: ხმისათვის ფორტეპიანოს თანხლებით/მუსიკა ზ. ფალიაშვილისა; ჰიმნად დაამუშავა ი. კეჭაყმაძემ; ლექსი დ. მაღრაძის. – თბ., 2004. – 3 გვ. + 1 კომპ. დისკი (CD-ROM)

<u>კარტოგრაფიული გამოცემები</u>

კავკასია: ფიზიკური რუკა/სამეცნიერო რედ.: ი. ქართველიშვილი, ლ. მუსტოიანი; ტექნ. რედ.: ე. ბერიაშვილი. – 1:1000000. – თბ.: კარტ. ფაბრიკა, 1994. – 2 ფ.: ფერადი; 72x115.

ჩრდილოეთი ამერიკა:სასწავლო ფიზიკური რუკა/რედ.: ე. შეყელაშვილი, მ. რაზმაძე. – 1:8000000. – თბილისი: ს/ს „კარტოგრაფია“, 2000. – 2 ფ.: ფერადი; 62x92 სმ.

ტალახაძე, გ.

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი (2006)/გ. ტალახაძე, დ. სვანიძე. – თბ., 2006. – 80 გვ.: ფ.; 22x29.

Израиль. Границы и линия прекращения огня (2000): Карта.– 1:480000. – Иерусалим, 2000. – 1 л.: ц.; 32x84.

<u>ელექტრონული რესურსების აღწერილობა</u>

ელექტრონულ რესურსებს მიეკუთვნება საინფორმაციო მასალები, რომლებიც კომპიუტერით იმართება (ცალკე ფიზიკურ მატარებელზე, დისკზე ან კასეტაზე განთავსებული) ან კომპიუტერთან მიერთებული პერიფერიული მოწყობილობების გამოყენებას მოითხოვენ.

ელექტრონული რესურსების სახეებია: მაგნიტური ფირი, კასეტა, მაგნიტური დისკი, ვიდეოკასეტა, აუდიოკასეტა, მიკროკასეტა, კომპაქტ-დისკი (CD-ROM), ვიდეოდისკი.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ელექტრონული რესურსი: სატიტულო ფურცელი, ძირითადი მენიუ, პროგრამის შესახებ მონაცემები, ეკრანზე პირველად გამოტანილი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. თუ შიდა ინფორმაციები არასაკმარისია, გამოიყენება სხვა წყაროები: რესურსზე განთავსებული ეტიკეტი ან მარკირება, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი, სხვა საცნობარო გამოცემები და წყაროები.

<u>ელექტრონული რესურსების აღწერილობის ნიმუშები</u>

ბასილაია, ალექსანდრე.

შური, ცაში გოტებული [აუდიოჩანაწერი]: ეძღვნება გოგი ბუკიას ხსოვნას/მუს. ალექსანდრე ბასილაიასი; ლექსი ხალხური; ასრ. ალექსანდრე ბასილაიას ჯგუფი. – [თბ., 2008]. – 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM). – კომპაქტ-დისკი ახლავს წიგნს – „საკუთარი არჩევანის მძევალი“.

მსოფლიოს ატლასი [ელექტრონული რესურსი]: 47 სამუშაო რუკა. – თბ.: ელფი, 2008. – 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM). – კომპაქტ-დისკი ახლავს წიგნს: „მსოფლიოს ატლასი“. – სათ. ეტიკეტიდან.

Международный русско-грузинский поэтический фестиваль, 2008 [электронный ресурс]: Тбилиси-Кутаиси-Батуми-Сигнаги. – [Тб., 2008]. – 1 компакт-диск (CD-ROM). – В кн.: За четырнадцать дней до войны.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება [ელექტრონული რესურსი]: [10 ფილმი]/საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. – თბ., 2008. – სათ. ეტიკეტიდან. CD 1, ფილმი 11 [ელექტრონული რესურსი]: პრეზენტაცია, 2008. – 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM).

ჩვენი საქართველო [ელექტრონული რესურსი]/მთ. რედ. ანდრო ჩაჩანიძე. – თბ., 2008. – 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM). – კომპაქტ – დისკი ახლავს წიგნს „ჩვენი საქართველო“. – ISBN: 978-9941-0-0949-5.

შინაარსი: რუსული პოლიტიკა და ქართული სინამდვილე/მერაბ ბუჭუხიშვილი; აჭარის არ; კახეთი; მცხეთა-თიანეთი; რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი; სამეგრელო-ზემო სვანეთი; სამცხე-ჯავახეთი; ქვემო ქართლი; შიდა ქართლი.

თავი 5. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ანალიტიკური აღწერილობის ობიექტს წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი. შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება: დამოუკიდებელი ნაწარმოები; ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი სათაური; ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი სათაური, მაგრამ გამოყოფილია ბიბლიოგრაფიული იდენტიფიკაციის მიზნებისათვის.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოიცავს:

ა) ცნობებს, საიდენტიფიკაციო შემადგენელი ნაწილების შესახებ;
ბ) შემაერთებელ ელემენტს;
გ) ცნობებს შემადგენელი ნაწილის ადგილმდებარეობის გამო ქვეყნების შესახებ მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტში;
დ) შენიშვნებს.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის პირველი, ბოლო და სხვა გვერდები, ჩანართები და სხვა თანმხლები მასალები, თუ მოიცავს ცნობებს შემადგენელი ნაწილის სათაურის, ავტორის, სხვა პირთა და (ან) ორგანიზაციის შესახებ, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის მომზადებაში.

ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში პირობით პუნქტუაციად გამოიყენება სასვენი და მათემატიკური ნიშნები:

. – წერტილი და დეფისი
. წერტილი
, მძიმე
: ორწერტილი
; წერტილ-მძიმე
... მრავალწერტილი
/ დახრილი ხაზი
// ორი დახრილი ხაზი
( ) მრგვალი ფრჩხილები
[ ] კვადრატული ფრჩხილები
+ პლუსის ნიშანი
= ტოლობის ნიშანი

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სქემა:

ცნობები დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის შესახებ//ცნობები მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის შესახებ. – ცნობები შემადგენელი ნაწილის ადგილმდებარეობის შესახებ დოკუმენტში. – შენიშვნები.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროები და ელემენტები იმავე თანმიმდევრობითა და წესების დაცვით გამოიყენება, როგორც წიგნების აღწერილობის შემთხვევაში.

ანალიტიკურ აღწერილობაში დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის ძირითადი სათაური მოიყვანება იმავე ფორმითა და იმავე გრამატიკული წესებით, როგორც მითითებულია ინფორმაციის მთავარ წყაროში. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს არ გააჩნია დამოუკიდებელი სათაური ან ძირითადი სათაური მოითხოვს კატალოგიზატორისაგან ფორმულირებას, ის ჩაისმის კვადრატულ ფრჩხილებში და მას წინ წაემძღვარება ორწერტილი. (იხ. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი. – თბ., 2007).

ერთავტორიანი სტატიების ანალიტიკური აღწერილობა

ილია II (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, 1977 –). მტერი ნადირობს ჩვენს ხალხზე, ცდილობს სასუფეველს გამოსტაცოს ქართველი ადამიანი//საპატრიარქოს უწყებანი. – 2006. – 12–18 აპრილი. – გვ. 4–5.

მაისურაძე, აკაკი.

საქართველოს ისტორიული საზღვრების ისტორია: უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე (ნაწ. II)//ჯორჯიან თაიმსი. – 2008. – 24–31 იანვარი. – №004 (471). – გვ. 10. – დასაწყისი „ჯორჯიან თაიმსი“ №3.

ორავტორიანი სტატიების ანალიტიკური აღწერილობა

ბერიძე, ლანა.

ისევ დარბევა თუ ნაძალადევი დიალოგი? თბილისში ოპოზიციამ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა დაიწყო/ლანა ბერიძე, ლილი ხმალაძე//რეზონანსი. – 2009. – 11 აპრილი. – №92. – გვ. 1–2.

რატიანი, ნ.

პროფესიული სტრესი/ნ. რატიანი, ე. ზამთარაძე//კავკასიის მაცნე. – 2006. – №14. – გვ. 81–84. – რეზიუმე რუს. და ინგლ. ენ.

<u>სამავტორიანი სტატიების ანალიტიკური აღწერილობა</u>

ზარდიაშვილი, დ.

კავკასიური ცარცის წრე/დ. ზარდიაშვილი, დ. ბერძენიშვილი, გ. ცაგარეიშვილი/საუბარი ჩაიწერა ნ. კაკულიამ//24 საათი. – 2006. – 15 აპრილი. – გვ. 1.

შარია, თ.

25 დღიანი აფხაზური ტყვეობიდან თბილისამდე/თეა შარია, ტარიელ სოხაძე, თემურ ელიავა//რეზონანსი. – 2006. – 4 აპრილი. – გვ. 4.

ბიბლიოგრაფის შეხედულებისამებრ შესაძლებელია შედგეს დამატებითი აღწერილობები მეორე და მესამე ავტორებზე.

<u>ოთხი და მეტი ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები</u> აღიწერება სათაურზე. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და კვადრატულ ფრჩხილებში სიტყვა [და სხვ.].

უნარშეზღუდულ ბავშვებს დახმარებას უუქმებენ/მ. ცაგარეიშვილი [და სხვ.]//ახალი თაობა. – თბ., 2006. – 10 აპრილი. – გვ. 8.

ქართული კაპიტალის დიდი ნაწილი დღეს უძრავ ქონებაში ილექება/ე. ჯგერენაია [და სხვ.]//კვირის პალიტრა. – თბ., 2006. – 10–16 აპრილი. – გვ. 27.

100 წელი მკითხველის სამსახურში: თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ასი წლისაა/ლ. წიკლაური [და სხვ.]//საქართველოს რესპუბლიკა. – 2009. – 2 ივნისი. – გვ. 9.

<u>უავტორო სტატიების აღწერილობა</u>

როგორ დავარეგისტრიროთ მშენებარე ბინა//ალია. – 2008. – 2–4 თებერვალი. – №14 (2139). – გვ. 4.

ცხინვალში ახალგაზრდები ნარკოტიკების გამო იღუპებიან//ალია. – 2008. – 5–6 თებერვალი. – №15 (2140). – გვ. 14.

<u>დიალოგის აღწერილობა</u>

დიალოგის აღწერილობის შედგენისას დიალოგის ავტორებად მიიჩნევიან მასში მონაწილე პირები და თავსათაურში ჩაიწერება ამ პირთაგან პირველის სახელი, ხოლო დანარჩენები მოიხსენიებიან სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში.

გულისაშვილი, ეთერი.

ეთერ გულისაშვილი საკუთარი და სხვების თვალით: დიალოგი ხელოვანთან/ესაუბრა რუსუდან ქუთათელაძე//მუსიკა, 2009. – №2–3. – გვ. 38–41.

გურგენიძე, ლადო.

რას დაჰპირდა „ალიას“ პრემიერ-მინისტრი გურგენიძე/ესაუბრა დარეჯან სულაშვილი//ალია. – 2008. – 2 – 4 თებერვალი. – №14 (2139). – გვ. 8.

<u>ინტერვიუს აღწერილობა</u>

ინტერვიუს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას თავსათაურში იწერება იმ პირის სახელი და გვარი (რესპონდენტის), რომლისგანაც ინტერვიუს იღებენ. ეს პირი ითვლება სტატიის ავტორად, ხოლო კორესპონდენტის სახელი მოიხსენიება პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში.

საუბარი და ინტერვიუ, რომლებიც გამოქვეყნებულია კორესპონდენტის ხელმოწერით და ტექსტში ჭარბობს მისი კომენტარები, ავტორებად მიიჩნევა ორივე პირი და აღწერილობის თავსათაურში მიეთითება კორესპონდენტის სახელი, ხოლო რესპონდენტის სახელი მოიხსენიება სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში.

თუ საუბარი ან ინტერვიუ გამოქვეყნებულია ორი და მეტი პირის სახელით, მაშინ აღწერილობის თავსათაურში მიეთითება პირველის სახელი, დანარჩენები მოიხსენიებიან სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში.

პრეობრაჟენსკი, კონსტანტინე.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უკანა კარი კავკასიაში: ინტერვიუ კონსტანტინე პრეობრაჟენსკისთან/ ესაუბრა ია მერკვილაძე//საქართველოს რესპუბლიკა. – 2009. – 14 მარტი. – გვ. 5.

რობერტსონი, ლუის.

არ მესმის, რატომ უნდა მიჰყიდოს „ნიუსკორპმა“ „იმედი“ საქართველოს ხელისუფლებას? /ესაუბრა ნინო მანიაშვილი//ჯორჯიან თაიმსი. – 2008. – 7–14 თებერვალი. – 006(473). – გვ. 2.

<u>განჩინების აღწერილობა</u>

ქ. თბილისი. საქალაქო სასამართლო.

შპს „საქენერგო 2000“ – ის მიმართ გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ: განაჩენი №2/274709: 15 აპრილი, 2009 //24 საათი. – 2009. – 24 აპრილი. – გვ. 8.

ქ. თბილისი. საქალაქო სასამართლო.

ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის [და სხვ.] მიმართ დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე: გადაწყვეტილება: საქმე 2/ 3510–08: 12 იანვარი 2009 წელი//24 საათი. – 2009. – 23 მარტი. – 63 (2101). – გვ. 5–7.

<u>ტენდერის აღწერილობა</u>

ტენდერის აღწერილობის შემთხვევაში თავსათაურში მიუთითებენ იმ ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომელიც აცხადებს ტენდერს; შემდეგ აღინიშნება ტენდერის ობიექტი, საგანი და მიეთითება ტენდერის გამოცხადების წყარო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი დეპარტამენტი. მშრალი საკვების შესყიდვა: ტენდერი//24 საათი. – 31 იანვარი. – გვ. 8.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

ს/ს „მადნეულის“ მიერ დაფუძნებული შპს „სპილენძის“ 51 პროცენტის წილის მართვის გადაცემაზე გამოცხადებული ტენდერის შესახებ//საქართველოს რესპუბლიკა. – 1997. – 5 აპრილი – №78 (2451). – გვ. 1.

<u>აუქციონის აღწერილობა</u>

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების პრივატიზების შესახებ: აუქციონი//საქართველოს რესპუბლიკა. – 2007. – 21 ივლ. – გვ. 12.

საქართველო. მცხეთა. საკრებულო.

მცხეთის რაიონის სოფელ ლისის საკრებულოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციისათვის: აუქციონის ჩატარების გრაფიკი და პირობები//საქართველოს რესპუბლიკა. – 2006. – 12 აპრილი. – №72 (5410). – გვ. 12–13.

<u>ნეკროლოგის აღწერილობა</u>

კაჭარავა ვილი: [ნეკროლოგი]//საქართველოს რესპუბლიკა. – 2009. – 20 მაისი. – გვ. 11.

ზურაბ გორგილაძე [1938–2006]: ნეკროლოგი/საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი//ლიტერატურული საქართველო. – თბ., 2006. – 14 აპრილი. – გვ. 16.

<u>რეცენზიებისა და რეფერატების აღწერილობა</u>

რეცენზიებისა და რეფერატების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას ცნობები რეცენზირებადი (რეფერირებადი) დოკუმენტის შესახებ შემოკლებით მიეთითება შენიშვნებში, სიტყვების შემდეგ: „რეცენზია წიგნზე“, „რეცენზია სტატიაზე“, „რეცენზია კოდექსზე“, „რეფერატი წიგნზე“, „რეფერატი სტატიაზე“.

ჩარკვიანი, ჯანსულ.

დონ კიხოტი და გზა მართალთა: პოეტის შთაბეჭდილებები//საქართველოს რესპუბლიკა. – 2005. – 22 ნოემბერი. – №271 (5304). – გვ. 7.

რეც.: გიგა ლორთქიფანიძის მიერ სანდრო ახმეტელის სახ. თეატრში დადგმული სპექტაკლის „ლამანჩელის“ გამო.

სტურუა, დევი.

ფილმის იუბილე, თუ მისი უკვდავება//საქართველოს რესპუბლიკა. – 1997. – 24 ივნისი. – №144. – გვ. 4 რეც.: ჭაბუა ამირეჯიბის კინო-რომანის „დათა-თუთაშხიას“ შექმნიდან 20 წლისთავის გამო.

მკითხველის საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება რეცენზია მოთხოვნილი იქნას იმ დოკუმენტის ავტორით ან სათაურით, რომლის რეცენზიაც აინტერესებს. ამიტომ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი რეცენზიაზე შეიძლება ასეთი სახითაც შედგეს:

ოთხმეზური, გ.

საქართველოს ისტორია/გ. ოთხმეზური, გ. იობაშვილი, ვ. ჯანჯღავა; რედ.: ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია. – თბ., 2008. – რეც. წიგნზე: ყორანაშვილი, გურამ. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის//ახალი განათლება. – 2009. – 19–25 მარტი. – გვ. 6–7.

თუ რეცენზიას ან რეფერატს არ გააჩნია სათაური, სათაურად კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითება სიტყვა [რეცენზია] ან [რეფერატი].

შენგელია. დ.

[რეცენზია]//მნათობი. – 1949. – №2. – გვ. 194–200. რეც. წიგნზე: ჯანელიძე, გ. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. – თბ.: სახელგამი, 1948. – 258 გვ.

<u>ოფიციალური მასალების ანალიტიკური აღწერილობა</u>

სახელმწიფო ხელისუფლების, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული და სხვ. სახის ოფიციალური მასალები აღიწერება კოლექტიური ავტორის სახელზე. ოფიციალური მასალების კოლექტიურ ავტორებად მიიჩნევა: პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები, საკრებულოები, გამგეობები, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო და სხვა სახის დაწესებულებები; საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, იუნესკო და სხვ.); დროებითი ორგანიზაციები (კონგრესები, ყრილობები, სიმპოზიუმები და სხვ.).

აღწერილობის თავსათაურში პირველ რიგში მიეთითება ქვეყნის სახელწოდება, შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება, როგორც ინფორმაციის წყაროშია მოცემული. მაგ.:

საქართველო. პარლამენტი.

საქართველო. ნაციონალური მოძრაობა.

საქართველო. საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პრეზიდენტის სახელით გამოცემული ბრძანებულებები, განკარგულებები და სხვ. მასალები აღიწერება პრეზიდენტის სახელ-

ზე და ფრჩხილებში მიეთითება პრეზიდენტად ყოფნის ვადები ან დასაწყისი წელი.

საქართველო. პრეზიდენტი. (1995–2003; ე. ა. შევარდნაძე)
ან
საქართველო. პრეზიდენტი. (2004 – ; მ. სააკაშვილი)

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება: 2004 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ: 1121. 2204 წლის 30 დეკემბერი//საქართველოს რესპუბლიკა. – 2005. – 1 იანვარი. – 1 (5034). – 1 გვ.

საქართველო. პრეზიდენტი. (2004 – ; მ. სააკაშვილი)

კანონი უმაღლესი განათლების შესახებ//საქართველოს რესპუბლიკა. – 2005. – 14 იანვარი. – 9-10(5042-5043). – გვ. 5–8.

საქართველო. კანონები.

საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“: 2000 წლის 24 ნოემბერს შესული ცვლილებების შეტანის თაობაზე//საქართველოს რესპუბლიკა. – 2000. – 9 დეკემბერი. – №321 (3722). – გვ. 2.

ლიტერატურა:

1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: სახელმძღვანელო მასალა/შემდგ.: მ. კალანდარიშვილი, ნ. ქავთარაძე; რედ.: გ. თაყნიაშვილი, ლ. კაცაძე; საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2009. – 130 გვ.;
2. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი/შემდგ.: მ. კალანდარიშვილი; რედ.: გ. თაყნიაშვილი; საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2007. – 20 გვ.;
3. სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების დასახმარებლად/შემდგ.: ნ. ქავთარაძე, რედ.: გ. თაყნიაშვილი; საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2007. – 19 გვ.;
4. დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის/საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა; შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსა-ძე; რედ.: ს. პულუზაშვილი. – თბ., 1997. – 80 გვ.
5. Российские правила каталогизаций/Рос. библ. ассоц., Межрегион. ком. по каталогизаций; авт. коллектив: Н. Н. Каспарова (рук.) [и др.]. – М., 2004. – Ч. 1 : Основные положение и правила. – 2004. – 242 с.

შინაარსი:

შესავალი	3
თავი 1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და ბიბლიოგრაფიული აღწერილობა	4
1.1. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროები	5
1.2. აღწერილობაში გამოყენებული პირობითი პუნქტუაცია	6
1.3. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სახეები	7
1.4. შემოკლებები ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში	8
თავი 2. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთდონიანი აღწერილობა	9
თავი 3. მრავალტომეული და სერიული გამოცემების კრებსითი და ცალკეული ტომის, ნაწილის დამოუკიდებელი აღწერილობა	13
თავი 4. ოფიციალური გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა	18
თავი 5. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა	24